ოქმი:**ო08. 3726223001**

თარიღი:**11/08/2026**

ოქმი № 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2026 წელი, 10 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

13:00 – 13:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, პ. კიღურაძე, ზ. სალუქვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ტ. ბარამიძე, ლ. მესხი, დ. თოიძე, ქ. ვასაძე, ზ. მორჩილაძე, ლ. კვაჭანტირაძე, თ. ბადალაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი-ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ, რომელმაც საკრებულოს კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის წარმოდგენილი პროექტი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების განკარგვის თაობაზე, და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი- საკრებულოს განკარგულების პროექტი მუხლობრივად და კონკრეტულად კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ. აღნიშნა, რომ საკითხი გამომდინარეობს პირველად განხილული პროექტიდან, ამ პროექტით უნდა დამტკიცდეს ქონების პრივატიზების გეგმა.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და დღის წესრიგში წარმოდგენილი ორივე საკითხი წარედგინოს საკრებულოს სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი